პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 211 (4721) 1972 წ. 24 ოქტომბერი, სამშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## პირველობაც, სპორტის ოსტატის ნორმატივიც...

თბილისის იპოდრომზე დამთავრდა ტურნირი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში, რომელიც გათვალისწინებული იყო რესპუბლიკის პირადი ჩემპიონატის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების, აგრეთვე, საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადის პროგრამით.

ბრწყინვალედ გამოვიდა თბილისის მუშა-ახალგაზრდობის 28-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი ზ. დუნდუა. ახალგაზრდა ცხენებით სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ჭიდში მან პირველობაც დაისაკუთრა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.

სურათზე: ზ. დუნდუა დაბრკოლებათა გადალახვაში ასპარეზობისას.

თ. გელაშვილის ფოტო.

## ცეცხლის ხაზზე

მინსკი, 22 ოქტომბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატში მოასპარეზე ბელორუსიელმა გ. ლუშჩიკოვმა 10 მეტრზე პნევმატური შაშხანით სროლაში I ადგილი დაიკავა — 385 ქულა დააგროვა 400-დან (ქალთა შორის ეს ვარჯიში საკავშირო რეკორდით მოიგო ახალგაზრდა ლატვიელმა სპორტსმენმა ზ. ზარინიამ — 387 ქულა).

საინტერესოდ წარიმართა ამ ვარჯიში გუნდური შეჯიბრებაც, რომელიც დოსააფის პირველი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში საუკეთესო იყო შეიარაღებულ ძალთა მეორე ნაკრები (ვ. პეტროვი, ვ. სალუქვაძე, ა. კრასტელევსკი და ვ. ჩიჩკოვი) — 2243 ქულა. ეს შედეგი ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს 4 ქულით აღემატება.

„გაქცეულ ტახზე" სროლაში დინამოელებმა გამოიჩინეს თავი. მათი შედეგი — 1486 ქულა — 47 ქულით სჯობს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

## ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ზაქოს ჯგუფური ტურნირის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივი გუნდების — უნივერსიტეტის კოლექტივისა და „ტორპედოს" შორის. სტუდენტებმა აღმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს — 4:1. ამ მოგებით ისინი გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ (24 ქულა). II ადგილზე გადაინაცვლა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის გუნდმა (23 ქულა).

ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი 25-30 ოქტომბერს გაიმართება მოსკოვში.

... $19^{45}$

◆ ტალინი, 23 ოქტომბერი. მასპინძლებთან კრისტა ვიახკთან და ალან კივისტიკთან ელინა დურხმანისა და ტიმო პელტონენის გამარჯვებით (2:1) დამთავრდა ესტონეთისა და ფინეთის ჩოგბურთელთა მატჩი. ეს იყო სტუმრების მიერ მოპოვებული ერთადერთი ქულა: საერთო ანგარიშია 15:1 ესტონელთა სასარგებლოდ. ეს ტრადიციული შეხვედრები 1962 წლიდან ტარდება და ფინელებმა მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას, ესტონეთის ნაკრებმა კი ცხრაჯერ იზეიმა გამარჯვება.

## ურეზერვოდ შეუძლებელია...

ქალთა ტურნირს, რომელიც ამჟამად თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში მიმდინარეობს, ორი მიზანი აქვს. სპორტსმენთა დაახლოება, პოლონეთისა და საქართველოს კალათბურთელთა მეგობრული კავშირის შემდგომი განმტკიცება — ასეთია ზოგადი მიზანი, რომელსაც საფუძვლად უაღრესად კეთილშობილური ამოცანები უდევს.

მეორე მიზანი წმინდა სპორტულია. თბილისში ჩამოსული გუნდები სხვადასხვა ტურნირისთვის ემზადებიან. ისინი ბრძოლაში ცდიან ძალებს, ამოწმებენ მზადყოფნას, აზუსტებენ შემადგენლობებს და, რაც მთავარია, აწყობენ მომავლის გეგმებს.

ჩვენ, მაგალითად, ყველაზე მეტად რეზერვის მდგომარეობით ვიყავით დაინტერესებული. საქართველოს ქალთა კალათბურთმა უკვე ორი წელია დატოვა უმაღლესი ლიგა და ახლა თავგამოდებით იბრძვის ძველი უფლების აღსადგენად. ამ პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტა ურეზერვოდ შეუძლებელია.

თბილისის საერთაშორისო ტურნირში ქართული კალათბურთის კონკრეტული იმედი ახალგაზრდულ ნაკრებშია თავმოყრილი და ამიტომაც მის ყოველ მატჩს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებენ თვალს. ზოგადი შთაბეჭდილება ერთობ ოპტიმისტურია. ყოველ შემთხვევაში, ორმა ჩატარებულმა ტურმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელშიც უმთავრესად 1955-1956 წლებში დაბადებული სპორტსმენები თამაშობენ, რეალურ ძალას წარმოადგენს.

ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ორი მატჩის შემდეგ ამ გუნდს ჯერ არც ერთი ქულა არა აქვს. მწვრთნელები ა. კაზანჯიანი და გ. ბაბახანიდი ამას არც ისახავენ მიზნად. მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდული ნაკრების წევრებს საშუალება მიეცათ გამოსცადონ თავიანთი უნარი და ისწავლონ უფრო გამოცდილი უფროსებისგან. ასეთი საშუალება მათ ხშირად არ ეძლევათ.

ახალგაზრდულ გუნდში არის რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე, რომელთა შორის ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა საკმაოდ ტანმაღალი, 15 წლის კორობოვა. არიან სხვა ნიჭიერი კალათბურთელებიც: გოგლიძე, კვინიკაძე, ადეიშვილი, ფიოდოროვა. მათ არც სურვილი აკლიათ, არც ფიზიკური მონაცემები, მუდამ აზარტითა და გატაცებით თამაშობენ, მაგრამ ახალგაზრდობა მაინც ახალგაზრდობაა და ბრძოლის პროცესში, განსაკუთრებით კი პასუხსაგებ სიტუაციებში, მთელი რიგი ნაკლოვანებები ვლინდება.

აი, თუნდაც ერთი ასეთი მაგალითი: ფარქვეშ ამ გუნდის წევრები დამაკმაყოფილებლად თამაშობენ, თავსაც კარგად იცავენ, შეტევის დროს ხშირად ჩამოყალიბებულ ოსტატობას ავლენენ, მაგრამ გამოუცდელი თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევია, რომ ვერც ერთი მათგანი სრულყოფილად ვერ ფლობს კალათბურთის ისეთ უმარტივეს ელემენტს, როგორიცაა მიწოდება. რამდენჯერ ჰქონდათ მათ საშუალება შეექმნათ მეტოქის ნახევარზე რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ თითქმის ვერც ერთხელ ვერ გამოიყენეს მომენტი იმის გამო, რომ არ იყვნენ დაუფლებული ამ ელემენტს.

ახალგაზრდულ ნაკრებს აქვს ტაქტიკური ხასიათის ხარვეზებიც. ზონურ დაცვაში იგი წელგამართულია, მაგრამ, როგორც კი პერსონალურ მეურვეობაზე გადადის, იბნევა და ინიციატივას კარგავს. მოსკოვის სპარტაკელებთან შეხვედრაში ახალგაზრდულმა ნაკრებმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა პირველი ტაიმი: უმაღლესი ლიგის გუნდმა ვერაფერი გააწყო მოქნილი და ეფექტური ზონის წინააღმდეგ. შესვენების შემდეგ მწვრთნელებმა გუნდს ახალი ამოცანა დაუსახეს — პერსონალური მეურვეობა. და აი, რამდენიმე წუთში „სპარტაკმა" გარდატეხა თამაში. თბილისელები გრძნობდნენ, რომ ეს ტაქტიკური სქემა მათთვის უცხო ხილი იყო და ისევ ზონურ დაცვაზე გადავიდნენ, მაგრამ ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდათ.

მწვრთნელების პოზიცია ამ ტურნირში უდავოდ სწორად მიგვაჩნია. ისინი არ ერიდებიან მარცხს და გაბედულად ამოწმებენ ვარიანტებს, მაგრამ კალათბურთის ელემენტების დახვეწა და დაუფლება ვარჯიშის დროს უნდა მოხდეს და არა შეჯიბრების პროცესში. მატჩის მსვლელობაში შეიძლება მხოლოდ ტაქტიკური სქემების გასინჯვა, როგორც ეს მოსკოვის სპარტაკელებთან ორთაბრძოლაში მოხდა და რამაც, სამწუხაროდ, ეფექტი არ მოგვცა.

მაგრამ, ასეა თუ ისე, თბილისის ახალგაზრდული ნაკრები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ახლა მთავარია, რომ ეს გუნდი მთლიანი შემადგენლობით შევინარჩუნოთ ერთორ წლიწადს მაინც, რათა იგი შეიკრას და შეკავშირდეს, როგორც ერთიანი კოლექტივი.

ნ. ბუზუშვილი.

* * *

გთავაზობთ პირველი ორი ტურის ტექნიკურ შედეგებს: თბილისის ნაკრები — უნივერსიტეტი (თბილისი) 82:43 (34:21), აზს (ვარშავა) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 66:68 (30:40), ახალგაზრდული ნაკრები (თბილისი) — ლკს (ლოძი) 56:68 (23:27), „სპარტაკი" (მოსკოვი) — ახალგაზრდული ნაკრები (თბილისი) 64:54 (29:29), თბილისის ნაკრები — აზს (ვარშავა) 74:61 (39:31), უნივერსიტეტი (თბილისი) — ლკს (ლოძი) 67:77 (27:29).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ნაკრები (თბილისი) | 2 | 2 | 0 | 156—104 | 2 |
| ლკს (ლოძი) | 2 | 2 | 0 | 145—123 | 2 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 2 | 2 | 0 | 132—120 | 2 |
| აზს (ვარშავა) | 2 | 0 | 2 | 127—142 | 0 |
| ახალგაზრდ. ნაკრები (თბილისი) | 2 | 0 | 2 | 110—132 | 0 |
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 2 | 0 | 2 | 110—159 | 0 |

## ძვირფასი სტუმრები მაყურებელთა როლში

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ გორის რაიონის შრომელებს. ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის თაოსნობით ჩატარდა საბჭოთა მეურნეობის ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გორის რაიონის ცნობილმა ფალავნებმაც.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ შეჯიბრებას ესტუმრნენ გამოჩენილი ქართველი მოჭიდავეები. აქ იყვნენ XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. თედიაშვილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გ. ყვარელაშვილი, გ. მარსაგიშვილი, თ. გეგეშიძე, აგრეთვე, თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მოსკოველი ი. სტაცურა.

ძლიერი გუნდები გამოიყვანეს გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, მეჯვრისხევის კოლმეურნეობამ და ბერბუკის საბჭოთა მეურნეობამ.

გუნდური პირველობა გორელმა ფალავნებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე გავიდნენ ბერბუკელები, III კი მეჯვრისხეველები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ჯ. ბეგიაშვილმა (მეჯვრისხევი), მ. ბაპუაშვილმა (გორი), გ. ბიბილაშვილმა (მეჯვრისხევი), ვ. ებნატაშვილმა (გორი), ს. ხოხაშვილმა (ძევერა), ვ. საათაშვილმა, ბ. ბლიაძემ (ორივე — სვენეთი), ფ. მარგიევმა (მეჯვრისხევი).

ო. შოშიტაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სოფ. ბერბუკი,
გორის რაიონი.

## ძნელ ბრძოლებში მოპოვებული მედლები

ზუსტად წუთსა და 45 წამს გაგრძელდა ბოლო ორთაბრძოლა, რომლითაც კვირას კრასნოიარსკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი სამბოში. სვერდლოვსკელმა ა. ფიოდოროვმა მტკივნეული ილეთის დახმარებით დაამარცხა კაუნასელი ი. კურიცინი და უძლიერესის ტიტული შეინარჩუნა. „რასსვეტის" დარბაზში მისულმა სპორტის მოყვარულებმა ტაშით დააჯილდოვეს ორივე — გამარჯვებული ტექნიკისთვის, ხოლო 33 წლის ვეტერანი — ვაჟკაცობისთვის. ფიოდოროვი ნახევარფინალში რიგელ ს. ველიკოტნის შეხვდა, რომელიც აგერ უკვე 13 წელია ქვეყნის ჩემპიონატებში მონაწილეობს და ბევრჯერ პრიზიორიც ყოფილა. სვერდლოვსკელმა დაამარცხა გამოცდილი მეტოქე, როცა 38-ე წამზე მტკივნეული ილეთი ჩაუტარა.

სხვაგვარად წარიმართა ბრძოლა მეორე ნახევარფინალში, სადაც კურიცინმა ახალგაზრდა ლენინგრადელ ი. გერასიმოვთან ჭიდილში უკვე პირველ წუთებზე 5 ქულა მოაგროვა. მაგრამ ბოლო წამებზე ცუდად წაიქცა ხალიჩაზე და დაშავდა.

ბევრს ეგონა, რომ იგი ფინალურ შეხვედრაში აღარ გამოვიდოდა, მაგრამ კურიცინმა თამამად შეუტია ფიოდოროვს და უკვე პირველივე წუთზე 2 ქულა მიიღო. შემდეგ ტკივილმა მაინც თავისი გაიტანა და, როცა მსაჯმა მეტოქის ხელი აღმართა გამარჯვების ნიშნად, მამაცმა სპორტსმენმა პირველმა გულწრფელად მიულოცა მას გამარჯვება.

ამ წონითს კატეგორიაში ერთმანეთს 25 კაცი ეჯიბრებოდა. პრიზიორთა რიცხვში მოსახვედრად შესარჩევი ტურნირის გავლა და დღის განმავლობაში 7-8 ორთაბრძოლის ჩატარება იყო საჭირო.

მაშ ასე, გამოვლინდა ყველა ჩემპიონი. მათს შორის გამოჩნდა ლიტვის წარმომადგენელი. პირველად გახდნენ პრიზიორები თურქმენეთის, ბაშკირეთის, გორკის ოლქის, კრასნოიარსკის მხარის სპორტსმენები.

ამჯერად ჩვეულებრივზე სუსტად გამოვიდნენ მოლდავეთისა და საქართველოს სამბისტები. არ ჩანდნენ ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ტაჯიკეთის წარმომადგენლები. არ დაგავიწყდეთ, ამ რესპუბლიკებში ძალიან პოპულარულია ეროვნული სახეობები, რომელთაგანაც სამბო აღმოცენდა.

— მიუხედავად ამისა, შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა, — თქვა ქვეყნის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ს. იონოვმა. — იგი გადამწყვეტი ეტაპია ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებისა. ეს შეჯიბრება კი 24-26 ნოემბერს ჩატარდება რიგაში.

ჩემპიონატის დასკვნითი დღის პრიზიორები წონითი კატეგორიების მიხედვით: 75 კგ-მდე: 1. ა. ფიოდოროვი (სვერდლოვსკი), 2. ი. კურიცინი (კაუნასი), 3. ი. გერასიმოვი (ლენინგრადი) და ს. ველიკოტნი (რიგა).

100 კგ-მდე: 1. ს. ნოვიკოვი (კიევი), 2. ი. შუისკი (სვერდლოვსკი), 3. პ. ლუბინეცი (კიშინიოვი) და ი. იარულინი (სალავათი).

გაგახსენებთ სხვა ჩემპიონთა გვარებს: კიეველები ს. მელნიჩენკო (ქვემსუბუქი) და გ. საუნინი (მძიმე), ლენინგრადელი ვ. კიულენენი (უმჩატესი), ომსკელი ა. ხოში (მჩატე), მაიკოპელი ვ. ნევზოროვი (მსუბუქი), კაუნასელი ჩ. ეზერსკასი (მეორე ქვესაშუალო), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი კ. რომანოვსკი (პირველი საშუალო), მოსკოველი ვ. სოლოდუხინი (მეორე საშუალო).

ოთხდღიანმა ასპარეზობამ 207 სპორტსმენს მოუყარა თავი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს ათლეტებმა. შემდეგ მოდიან მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადის, საქართველოს, მოლდავეთის, ლიტვის სპორტსმენები.

სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა შორის I ადგილზე არიან არმიელი სპორტსმენები.

ა. შჩიგლენკო,
ვ. ხაჩკოვანიანი.
(საკდესის სპეც. კორ.).

კრასნოიარსკი.

### რეკორდი

კაგოსიმა, 23 ოქტომბერი. უმჩატესი წონის იაპონელმა ძალოსანმა კოძი მიკიმ საკუთარი მსოფლიო რეკორდი ერთი კილოგრამით დაამძიმა — ორჭიდში გამართულ შეჯიბრებაში 115 კგ აიტაცა.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი 50 წლისაა

# სახელოვანი გზა

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღზრდის პრობლემას. რაც უფრო შეგნებული, განათლებული და ფიზიკურად განვითარებული არიან ადამიანები, მით უფრო აქტიურად მონაწილეობენ ისინი ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ფიზიკური აღზრდა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სწავლების განუყოფელ ნაწილად იქცა, ხელს უწყობს ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებას, შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის მომზადებას. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას დასაბამი მიეცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მერე, თბილისის უნივერსიტეტის ყოფილი პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე.

1922 წლის დასაწყისში გ. ნიკოლაძის ინიციატივით პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტ-ენთუზიასტთა რიგებიდან (სულ 111 კაცი იყო) სპორტის მოყვარულთა წრე ჩამოყალიბდა. იმის გამო, რომ თვით უნივერსიტეტში მაშინ სპორტული მეცადინეობისთვის სათანადო პირობები არ იყო, მათთვის, ვისაც სპორტულ ტანვარჯიშში უნდა ემეცადინა, ვაჟთა 1-ლი გიმნაზიის დარბაზი გამოიყო. თავდაპირველად ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ი. მაჭავარიანმა, ს. ჯაფარიძემ, ი. ლორთქიფანიძემ, ა. ბენაშვილმა, ი. ძოძუაშვილმა, პ. ცისკარიშვილმა, მ. ტყავაძემ და სხვ.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თვითმოქმედ ფიზკულტურულ წრეებში ტანვარჯიში საწყის ფორმად შემთხვევით როდი იქცა: პოლიტექნიკური ფაკულტეტის მსმენელთა უმრავლესობა იმ საშუალო სასწავლებლების (ვაჟთა 1-ლი და მე-2 გიმნაზიები) აღზრდილი იყო, სადაც სპორტის ამ სახეობის პროპაგანდას ეწეოდნენ ცნობილი პედაგოგები ა. ლუკეში და გ. ევნატაშვილი.

იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო პროგრამა ტანვარჯიშში და უახლოესი დროისთვის დასახული არ იყო შეჯიბრებების ჩატარება. ამიტომ წრეობრივი საქმიანობა ძირითადად აკადემიური მეცადინეობებითა და გამაჯანსაღებელი მუშაობით ამოიწურებოდა. ამ დროს იმავე გ. ნიკოლაძის თაოსნობით ეწყობოდა ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობანი, რაც შემდგომ მთამსვლელობის დაუფლებაში გადაიზარდა.

სსრ კავშირში მთამსვლელობის განვითარების ისტორიას — საბჭოთა ალპინიზმს საფუძველი საქართველოს სპორტსმენებმა ჩაუყარეს: თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის 18 სტუდენტმა 1923 წლის 28 აგვისტოს პროფესორ გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით დალაშქრა მყინვარწვერი.

ამის შემდეგ სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის (შემდგომში ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი) სტუდენტთა ჯგუფი (მაშინ გ. ნიკოლაძე სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში მუშაობდა) სისტემატურად აწყობდა ექსკურსიებს, ტურისტულ ლაშქრობებს, მაღალმთიან ასვლებს.

აქ მიეცა დასაბამი სტუდენტ სიმონ ჯაფარიძის, შემდგომში სამთო სპეციალობის ინჟინრის ბრწყინვალე მთასვლელურ კარიერას. ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა შორის ბევრი მთამსვლელი აღიზარდა, რომელთაგან მთელს საბჭოთა კავშირში გაითქვა სახელი ალიოშა ჯაფარიძემ.

1929-30 სასწავლო წლამდე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური მომზადება, როგორც დისციპლინა, არ არსებობდა, „ვსევობუჩის" პროგრამით სტუდენტ-წვევამდელთა სამხედრო-ფიზკულტურულ მომზადებას თუ არ ვიგულისხმებთ. რაც შეეხება თვითმოქმედ, მასობრივ სპორტულ მუშაობას, იგი სტუდენტურ კლუბებში, წრეებში, სპორტულ სექციებში გაიშალა. ამ საქმიანობას ძირითადად პროფკავშირული ორგანიზაციები ეწეოდნენ.

უკვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე 1926-27 წლებში ჩამოყალიბდა ტანვარჯიშის, კრივის, ძალოსნობის, ჭიდაობის, ჭადრაკის, ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის სექციები. არ შეიძლება არ გავიხსენოთ იმ დროის სექციებში მომეცადინენი და მათი ხელმძღვანელები: ტანმოვარჯიშეთა წრეს ხელმძღვანელობდა ვ. პროკოფიევი, რომელიც დიდხანს მუშაობდა ამ ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრაზე. კრივის სექციას ხელმძღვანელობდა ინჟინერ-ელექტრიკოსი კაჯარი. პირველი მოკრივეები იყვნენ კ. ივანოვი, გ. ნავასარდოვი, გ. ხუციშვილი, დ. ჭიჭინაძე და სხვ. ძალოსნობისა და ჭიდაობის სექციებში, რომლებსაც გ. ჩიკვაიძე ხელმძღვანელობდა, აღიზარდნენ იმ დროისთვის ცნობილი სპორტსმენები ნ. გილნერი, ი. ყანჩელი, ა. ვოლობუევი, ვ. ბესთაევი (ძალოსნები), გოლაშვილი, ვ. ჯაფარიძე, ნ. ჟემბროვსკი (მოჭიდავენი) და სხვ. სახელი გაითქვა ფეხბურთის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გ. ხუციშვილი, ვ. გასპაროვი, რ. მდივანი, ბ. გუნია, ი. ანდრიანოვი, რ. პოლოსოვი, ს. იმნაძე, ბ. კულვიცი, გ. ბალდოევი და სხვ. ამიერკავკასიის, შემდგომ კი საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში აღიზარდნენ ცნობილი მოჭადრაკეები ვ. გოგლიძე, ს. აბრამიანი, ა. ებრალიძე, ჰ. კასპარიანი, ვ. სერედა, მ. შიშოვი, ბ. ვეიზერი, ი. მალუნცევი, ა. ფალავანდიშვილი, ა. მირზოევი. უფრო მოგვიანებით აქ სწავლობდნენ ა. ფირცხალავა, შ. ცინცაძე, ო. თურქესტანიშვილი, ლ. გერშკოვიჩი, მ. ტოგონიძე, დაბოლოს, ბ. გურგენიძე, თამაზ გიორგაძე, გ. ბუცხრიკიძე, ც. კახაბრიშვილი და სხვ.

1923-1928 წლები იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ამ დროს სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საფუძვლები შეიქმნა. სპორტულ მეცადინეობაში სტუდენტები უფრო ფართოდ ჩაებნენ.

1930 წლის ზაფხულში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დანაწევრებას მოჰყვა ექვსი დარგობრივი ინსტიტუტის შექმნა, რასაც დაემთხვა ინსტიტუტებში ფიზიკურ მომზადებაში მეცადინეობის შემოღება. ფიზმომზადება სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული ჰქონდათ საინჟინრო-სამშენებლო, ენერგეტიკულ, ქიმიურ-ტექნოლოგიურ, სამთო-მეტალურგიულ და ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტებს.

იმ წლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს სათავეში ედგნენ გ. ნებიერიძე (საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი), გ. საყვარელიძე, გ. იოსებაშვილი (ქიმიურ-ტექნოლოგიური), გ. ნარიმანიძე, დ. ჩიკვაიძე (სამთო-მეტალურგიული), ა. კაიშაური (ენერგეტიკული), გ. ევნატაშვილი (ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტი).

ფიზკულტურულ მუშაობაში განსაკუთრებული წარმატებები ამ უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიური არსებობის დროს (1930-31, 1931-32, 1932-33 წ.წ.) სამშენებლო და ენერგეტიკულ ინსტიტუტებს ჰქონდათ.

1931 წელს ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ელექტრიკოსთა საკავშირო სპარტაკიადაში. წარმატებით იასპარეზეს ტანმოვარჯიშეებმა საბანაძემ, ანდრიაშვილმა (ამჟამად სპი-ს დოცენტები), გურგენიძემ, მერჟანოვმა (ამჟამად ინჟინრები), მოჭადრაკეებმა გოგლიძემ და ფალავანდიშვილმა, მძლეოსანმა ფცქიალაძემ და სხვ.

თბილისში პირველი ორგანიზებული შეჯიბრება უმაღლეს სასწავლებლებს შორის ტანვარჯიშში მოეწყო. ამას მოჰყვა 1934 წელს გამართული სპარტაკიადა უმაღლეს სასწავლებლებს შორის სპორტის რამდენიმე სახეობაში. ამ სპარტაკიადაში როგორც საერთო გუნდურ, ისე ცალკეულ სახეობებში პირველობა მოიპოვა იმჟამად უკვე ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ფიზკულტურულმა კოლექტივმა. მაშინ ამ სასწავლებელში გაერთიანდნენ სამშენებლო, ენერგეტიკული, ქიმიურტექნოლოგიური და სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტები. იმ წლებში ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ფიზკულტურულ მუშაობას სათავეში ედგნენ ჯერ გ. ევნატაშვილი, მერე კი დ. ჩიკვაიძე.

ამავე წლებში სპორტულ მუშაობას კარგად ართმევდა თავს ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტში ვ. პროკოფიევი. ამ სასწავლებელმა დამოუკიდებლად იარსება 1959 წლამდე (1936 წლიდან იგი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტად იწოდებოდა). ამ ინსტიტუტის სტუდენტებმა ბ. დიაჩკოვმა, ა. ჭელიძემ, ა. ოჩიგავამ, მ. ცხვედაძემ, მ. ქარუმიძემ, უფრო გვიან კი კ. მალიშკოვმა, პ. თედევემა, ა. ობოლაძემ, ვ. მაკაროვმა, ე. გოკიელმა და სხვებმა საძირკველი ჩაუყარეს მძლეოსნობის განვითარებას რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. წლების განმავლობაში გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა არაერთი წარმატება მოიპოვა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი ოსტატები გ. ახვლედიანი, ს. ტარახჩიანი და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ე. გოკიელი, რომელმაც თარჯრბენში ბევრჯერ ისახელა თავი რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

ახლა კი დავუბრუნდეთ ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობას. 1934 წელს ამ ინსტიტუტის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს მძიმე ინდუსტრიის სახალხო კომისარიატის საკავშირო სპარტაკიადაში (მოსკოვი). რვიდან სამ სახეობაში თბილისელებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს: ფეხბურთელებმა — I, ტანმოვარჯიშეებმა — II, ჩოგბურთელებმა — III. უნდა გავიხსენოთ ფეხბურთელები ი. კასრაძე, ა. ყალიჩავა, მ. ბოლოტინი, ვ. ჯორბენაძე, ვ. რამიშვილი, გ. კრილოვი, ი. სომოვი, მ. მინაევი, გ. ქებაძე; ტანმოვარჯიშენი გ. ბაბილოძე, გ. მამარდაშვილი, გ. ფურცელაძე, იმხნელი, ნ. კალანდაძე; ჩოგბურთელები — ლ. ჟამკოცევი, ლ. აირაპეტოვა, აგრეთვე, კალათბურთელები ო. ავალიშვილი, ლ. ძეკონსკი, ს. ოგანეზოვი, ნ. სტურუა, ა. კიკნაძე, თ. გეგელაშვილი, ზ. შევლიოვა; მძლეოსნები შ. კილაძე, ნ. ხალდასტანიშვილი, ჰ. მაიერი და სხვ.

1935 წელს სახალხო კომისარიატთა საკავშირო შეჯიბრებაში მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები გუნდების სახელით ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტიდან გამოდიოდნენ ტანმოვარჯიშეები გ. ბაბილოძე, დ. ახვლედიანი, გ. მამარდაშვილი, ნ. კალანდაძე, ვ. შავდია, კალათბურთელი ს. ოგანეზოვი და სხვ.

1936 წელს ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის II საკავშირო სპარტაკიადაში. ამ ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა გუნდმა (გ. ბაბილოძე, გ. მამარდაშვილი, დ. ახვლედიანი, ვ. შავდია, თ. ქოიავა, ნ. კალანდაძე, ს. ჩარკვიანი, ლ. დვალი) I ადგილი დაიკავა. პირველობა მოიპოვეს ფეხბურთელებმაც. ამ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ისინიც, ვინც ზემოთ დავასახელეთ, აგრეთვე, ბ. პაიჭაძე, ა. კიკნაძე და სხვ. კარგად იასპარეზა ძალოსანმა ვ. კალმახელიძემ.

იმავე 1936 წელს ამიერკავკასიის ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა ახალი სახელწოდება მიიღო: საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. ამ დროისთვის სასწავლებელში სპორტული ცხოვრება თანდათან სისხლსავსე ხდებოდა. შესამჩნევად გაიზარდა ტანმოვარჯიშეების გ. ბაბილოძის, ნ. თაყაიშვილის, დ. ახვლედიანის, გ. მამარდაშვილის, თ. ქოიავას ოსტატობა. ამ სპორტსმენებმა არაერთხელ მოიპოვეს სპორტსაზოგადოებათა, რესპუბლიკისა თუ სსრ კავშირის ჩემპიონთა და პრიზიორთა ტიტულები. მათ ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს საქართველოში სპორტის ოსტატის წოდება.

ინსტიტუტის კედლებში აღიზარდნენ შესანიშნავი მძლეოსნები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში. აი, ისინიც: შ. კილაძე, ა. ბუზოღლი, გ. გიორგობიანი, ლ. გიორგაძე, ლ. ანატიანი, ო. ქეიშვილი, თ. გველესიანი. უფრო მოგვიანებით, 1945-55 წლებში, თავი ისახელეს ლ. სანაძემ, უ. ტეფნაძემ, ი. კეჭარავამ, გ. კიკაბიძემ. 1956-1965 წლებში ცნობილი გახდა გ. გვინჩიძის, გ. თურმანიძის, გ. გეგეშიძის სახელები. ამ ბოლო ხანს კი მძლეოსნურ სარბიელზე ინსტიტუტის ღირსებას იცავენ ჯ. ფხაკაძე, ნ. ზვიადაური, დ. სამაური, ვ. ქავთარაძე, რ. არმევონაშვილი, გ. შოშიაშვილი, ა. თამოევი, გ. მებონია, ლ. კორკოტაძე, ი. ნაზღაიძე. ეს მძლეოსნები ხშირად გამოდიან რესპუბლიკის ნაკრების სახელითაც.

ფიზკულტურულ საზოგადოებრიობაში განსაკუთრებული პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობდა პირველი და მრავალმხრივი ქართველი სპორტსმენი ქალი ნინო ზალდასტანიშვილი. იგი იყო საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნობის რამდენიმე სახეობაში, წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკის კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდებშიც.

ამიერკავკასიის, შემდგომ კი საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის კალათბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდებმა 1934-41 წლებში არაერთხელ დაიკავეს საპრიზო ადგილები სსრ კავშირის უძლიერეს კოლექტივებს შორის.

კალათბურთელ ქალთა გუნდი ზედიზედ შვიდ წელს ფლობდა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებას. 1937-38 წლებში კი სპორტსაზოგადოება „სტროიტელის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი იყო. 1937-38 წლებში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ფრენბურთელი ქალებიც.

სპორტულ თამაშებში სპორტის ოსტატთა წოდება რესპუბლიკაში პირველად მიიღეს თ. გიგილაშვილმა, ზ. შეველიოვამ, ე. მაიერმა, თ. ჩუბინიშვილმა, ს. ოგანეზოვმა, ლ. ძეკონსკიმ. ამ ორს შემდგომში დამსახურებული ოსტატის წოდებაც მიენიჭა. ინსტიტუტის კედლებში აღიზარდნენ შესანიშნავი ჩოგბურთელები: ძმები ბ. და ვ. სერებრიანიკოვები, გ. გულიაშვილი, ბ. კრუპენიკოვი, ლ. ჟამკოცევი და სხვ. ეს სპორტსმენები 1935-41 წლებში წარმატებით ასპარეზობდნენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.

**მ. ცხვედაძე,**
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

(გაგრძელება იქნება).

---

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტში

## საპატიო სიგელით...

ჭადრაკის პროპაგანდისა და განვითარებისთვის ხანგრძლივი მუშაობის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა 1972 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებით კომიტეტის საპატიო სიგელით დააჯილდოვა გაზეთების საჭადრაკო განყოფილებათა რედაქტორები: პ. სოლომატინი („იუჟნაია პრავდა", ნიკოლაევი), ა. ფროლოვი („კრასნოე ზნამია", ვლადივოსტოკი), ვ. შჩერბაკოვი („რაბოჩი კრაი", ივანოვო), ვ. ალტშულერი („ვოდნი ტრანსპორტი", მოსკოვი) და თ. გიორგაძე („ლელო", თბილისი).

---

## „სიშორე რა მოსატანია!"




თბილისის „ლოკომოტივის" საცურაო აუზს ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს. აუზის დირექციისა და 26 კომისრის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თაოსნობით შაბათ-კვირას აქ ჩატარდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღია პირველობა ცურვაში მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩასაბარებლად.

ცისფერ ბილიკებზე 1600-მდე სხვადასხვა ასაკის მოსწავლე და მუშა-მოსამსახურე გამოვიდა. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვმა კი 3 ათასს გადააჭარბა. ცხადია, ყველა მათგანის გამოცდა შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ამ მისაბაძი ღონისძიების თაოსანთა გადაწყვეტილებით, მსგავსი ასპარეზობა ახლო მომავალში კიდევ ჩატარდება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სტარტზე მეტი მსურველის მიწვევაც შეიძლებოდა, მაგრამ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელები და, პირველ ყოვლისა, ფიზაღზრდის მასწავლებლები ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს: აუზის ტერიტორიაზე მოსწავლეთა თვითნებობამ ხელი შეუშალა შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას. სწორედ ამიტომ მოიხსნა შეჯიბრებიდან 152-ე სკოლის კოლექტივი.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება დიდმნიშვნელოვანი საქმეა და, სადაც ეს ღონისძიება მასობრივად ტარდება, იქ ფიზაღზრდის მასწავლებლებთან ერთად აუცილებლად უნდა იყვნენ კლასების ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები.

ამ მხრივ მისაბაძი მაგალითით გამოირჩეოდნენ 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ღლონტი), 88-ე (ი. გიორგაძე, ვ. ელერდაშვილი) და 98-ე (ვ. ბრეშკოვი, პ. კაპრანოვი) საშუალო სკოლების კოლექტივები.

— სურვილი იყოს, თორემ სიშორე რა მოსატანია! — გვითხრა თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა თ. ხუციშვილმა, როცა აუზის კარს მოსწავლეებით სავსე ავტობუსი მოადგა. რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით ამ სკოლის დირექციას (დირექტორი ქ. ცხვედიანი) გადაწყვეტილი აქვს მოსწავლეებს მასობრივად შეასწავლოს ცურვა და ნორმატივებიც ჩააბარებინოს.

საწარმოო კოლექტივებიდან თავი გამოიჩინა „სამტრესტის" თბილისის საწარმოო კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ვ. ქლენტი). უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და კომპლექსი მთლიანად ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. გორგოძემ. ნორმატივები წარმატებით ჩააბარეს, აგრეთვე, რექტიფიკაციის საამქროს უფროსმა უ. მუჯირმა, სიმქავის საამქროს მუშამ ზ. ამბროლაძემ, 59 წლის მეხანძრემ ნ. კაიშაურმა და სხვ.

აუზზე მომუშავე მწვრთნელებმა ბევრი კარგი მონაცემის მქონე მოსწავლე შეარჩიეს ცურვის სექციაში სავარჯიშოდ.

**თ. ბახეჩილაძე.**

---

## რაიონების სტრიქონით

**✦ კასპი**

რაიონის კალათბურთელთა ტურნირში 12 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი ცემენტის ქარხნის კოლექტივმა დაიკავა.

• • •

სოფელ ქვემო გომში გაიმართა ცნობილი მოჭიდავის შ. კაციაშვილის სახელობის ტრადიციული თასის გათამაშება. გაიმარჯვა ოკამის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

**✦ გულრიფში**

საინტერესოდ ჩატარდა ბაბუშარის საშუალო სკოლის შიდასაკოლექტივო შეჯიბრება ფეხბურთში. წარმატება წილად ხვდათ IX² კლასის მოსწავლეებს.

**შ. ჯალაღონია.**

**✦ წითელი წყარო**

წლეულს კვლავ ჩატარდა ჭაბუკ ფეხბურთელთა რაიონული ტრადიციული გათამაშება „იმედის თასზე", რომელშიც 12 კოლექტივი მონაწილეობდა. თასის მფლობელი გახდა წითელი წყაროს ქართული საშუალო სკოლის გუნდი.

**უ. წყარუაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი-72

### სსრ კავშირის პირველობა

### მატჩები, გოლები

განვლილ შაბათს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

**„დნეპრი“ — „ზარია“ 1:2.**

ვოროშილოვგრადელები სულ უფრო უახლოვდებიან სანუკვარ მიზანს — სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლებს. განვლილ მატჩში, სტუმრად, მათ მორიგი 2 ქულა აილეს. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს სტარკოვმა და კუზნეცოვმა. მასპინძლებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს სხვაობის შემცირება ანგარიშში (ევსეენკო).

**„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“ 0:1.**

ტორპედოელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, „ლოკომოტივმა“ კი თავისი ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დაამთავრა (ჩესნოკოვი).

**„კარპატი“ — ასკ 1:0.**

გოლი, რომელმაც „კარპატის“ ესოდენ საჭირო 2 ქულა მოუტანა, გაიტანა ლიხაჩოვმა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 26 | 15 | 7 | 4 | 47—24 | 37 |
| ცსკა | 28 | 15 | 3 | 10 | 36—31 | 33 |
| „არარატი“ | 27 | 11 | 8 | 8 | 35—27 | 30 |
| „დნეპრი“ | 27 | 10 | 10 | 7 | 34—34 | 30 |
| „ზენიტი“ | 28 | 9 | 11 | 8 | 34—28 | 29 |
| „დინ.“ (თბ.) | 26 | 10 | 9 | 7 | 35—32 | 29 |
| „დინ.“ (კ.) | 25 | 10 | 8 | 7 | 41—29 | 28 |
| „დინ.“ (მ.) | 26 | 12 | 4 | 10 | 37—29 | 28 |
| „დინ.“ (მნ.) | 27 | 9 | 10 | 8 | 26—26 | 28 |
| „ტორპ.“ | 27 | 10 | 8 | 9 | 28—30 | 28 |
| „სპარტ.“ | 25 | 8 | 7 | 10 | 26—24 | 23 |
| ასკ | 27 | 7 | 9 | 11 | 28—32 | 23 |
| „ყაირ.“ | 27 | 5 | 13 | 9 | 19—24 | 23 |
| „კარპ.“ | 27 | 8 | 7 | 12 | 23—37 | 23 |
| „ლოკომოტ.“ | 28 | 5 | 9 | 14 | 26—41 | 19 |
| „ნეფთჩი“ | 27 | 5 | 7 | 15 | 24—51 | 17 |

### ე. მალოფეევი გააცილეს

მინსკისა და მოსკოვის დინამოელთა განვლილი ტურის მატჩში, რომელიც 21 ოქტომბერს შედგა ბელორუსიის დედაქალაქში, საზეიმო გაცილება მოუწყვეს მინსკელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ედუარდ მალოფეევს. მან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.

### დისკვალიფიკაცია 5 მატჩით

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ მინდორზე ჩადენილი უწესო საქციელისთვის 5 კალენდარული მატჩით მისცა დისკვალიფიკაცია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს ფ. რეხვიაშვილს.

### უმაღლესი ლიგა

### II ლიგა III ზონა

22 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

#### ბათუმი

ადგილობრივი დინამოელები პოდოლსკის „მაშინოსტროიტელს“ შეხვდნენ. მასპინძლებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ გამარჯვება საპრიზო საფეხურზე ადგილის დასამკვიდრებლად. გარდა ამისა, მათ რევანშისთვისაც უნდა ეზრუნათ პირველ წრეში დამარცხების გამო. მაგრამ ვერც ერთი ეს ამოცანა ვერ განხორციელდა, თუმცა გუნდი რამდენიმეჯერ ახლოს იყო მიზანთან.

თამაში დაიწყო იმით, რომ მე-10 წუთზე ჩხარტიშვილი საუკეთესო პოზიციაში აღმოჩნდა და მომენტის გამოყენება ვერ შეძლო. ცოტა ხნის შემდეგ ჩხარტიშვილს კვლავ მიეცა შესაძლებლობა დაეწინაურებინა თავისი გუნდი, მაგრამ ამჯერადაც ააცდინა ბურთი მიზანს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული უპირატესობა ბათუმელებს ჰქონდათ, პირველი ბურთი სწორედ მათს კარში გავიდა: 27-ე წუთზე სიმბარცევმა კარგად ისარგებლა მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომით და ზუსტად დაარტყა. სულ სამიოდე წუთი იყო გასული ამის შემდეგ, როცა კვიტაიშვილი პირისპირ დარჩა „მაშინოსტროიტელის“ მეკარე კუზმინთან და ამ ორთაბრძოლაში მეკარემ იმარჯვა.

დინამოელები შესვენების შემდეგაც უტევდნენ, მაგრამ გუნდმა მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლო: ი. ესებუამ რამიშვილის გადაცემიდან საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1.

ო. მურვანიძე.

#### ფოთი

განვლილ ტურში „კოლხეთის“ მეტოქე ზონის ერთ-ერთი ლიდერი — კრასნოდარის „ყუბანი“ იყო. ძლიერ მეტოქესთან ფოთელებმა ენერგიულად იბრძოლეს და გაიმარჯვეს კიდეც.

„კოლხეთს“ წარმატების მოპოვება ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლო. გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა, კერძოდ, ჭედიას, მაგრამ მან გადამწყვეტ მომენტში ორჯერ უზუსტოდ ითამაშა.

კიდევ უფრო გააუმჯობესეს თამაში ფოთელმა ფეხბურთელებმა მეორე ტაიმში. 62-ე წუთზე ცაავას მიერ მოწოდებულ კუთხურს კარგად შეურჩია ადგილი კალიუჟინოვმა და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა „კოლხეთს“, თუმცა ჯაიანს, ცაავასა და არზიანს შეეძლოთ ანგარიშში განსხვავების გაზრდა.

ბ. ბასილაია.

#### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „მერცხალი“ (მახარაძე) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 1:0, „დილა“ (გორი) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 2:1, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 1:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 7:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 34 | 21 | 10 | 3 | 64—28 | 52 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 35 | 19 | 10 | 6 | 58—23 | 48 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 35 | 17 | 10 | 8 | 51—29 | 44 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 35 | 18 | 8 | 9 | 44--34 | 44 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 35 | 14 | 15 | 6 | 51—37 | 43 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 35 | 15 | 8 | 12 | 33—26 | 38 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 35 | 16 | 6 | 13 | 47—47 | 38 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდ | 35 | 14 | 9 | 12 | 35—31 | 37 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 35 | 13 | 10 | 12 | 39—32 | 36 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 35 | 12 | 12 | 11 | 35—37 | 36 |
| „დილა“ (გორი) | 36 | 12 | 11 | 13 | 35—41 | 35 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 35 | 13 | 8 | 14 | 36—41 | 34 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 35 | 11 | 7 | 17 | 45—49 | 29 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 34 | 10 | 8 | 16 | 38—47 | 28 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 35 | 7 | 14 | 14 | 34—51 | 28 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 35 | 8 | 11 | 16 | 31—46 | 27 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 35 | 8 | 9 | 18 | 30—46 | 25 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 35 | 5 | 11 | 19 | 29—51 | 21 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 35 | 8 | 5 | 22 | 31—71 | 21 |

# გაცრუებული იმედი

როცა დიდი შეჯიბრებების დროს ანდა ტელევიზიის ეკრანზე ვუყურებთ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობას, იგი ჭეშმარიტ დღესასწაულად წარმოგვიდგება. ალბათ არც ერთ სახეობას არ მოეპოვება იმდენი ურთულესი და ულამაზესი ელემენტი, რამდენიც ტანვარჯიშს. თანაც, ტანვარჯიში იმთავითვე წილნაყარია ხელოვნებასთან. იგი გულისხმობს პლასტიკას, გრაციას, ფანტაზიას... ტანმოვარჯიშე ხშირად ჰაერშია, მისი ტანი ირწევა ისევე, როგორც ცაში მონავარდე ფრინველისა. ესეც ერთი დიდი სილამაზეა. ტანვარჯიში მაყურებელსაც და მოასპარეზეებსაც ენით გამოუთქმელ სიამოვნებას ანიჭებს.

ამიტომაც სხვა წამყვან სახეობებთან ერთად სპეციალისტებიცა და გულშემატკივრებიც ამა თუ იმ ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე, მის ესთეტიკურ მხარეზე ხშირად ტანვარჯიშის მიხედვით მსჯელობენ. თითქმის ყველა ქვეყანა, რომელსაც თავი მოაქვს სპორტით, ცდილობს მაქსიმალურად დანერგოს და განავითაროს ტანვარჯიში.

ქართული ტანვარჯიში წარსულში ერთ-ერთ სამაგალითოდ იყო მიჩნეული. იგი ერთნაირად უყვარდათ მოზარდებსა და უფროსებს, სულ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. კარგი ტანმოვარჯიშე თავისებური იდეალი იყო, რადგანაც გულისხმობდა სულითა და ხორცით ამაღლებულ ადამიანს, წესიერებას, ელეგანტურობას, საერთო პიროვნულ კულტურას. მერე და მერე ჩვენში თანდათან შეთხელდა ძლიერ ტანმოვარჯიშეთა რიგები, ოდესღაც ხალხით გატენილი ტრიბუნები თითქმის დაცარიელდა, ახალგაზრდობაშიც იკლო ტანვარჯიშისადმი ლტოლვამ. ერთი სიტყვით, ტანვარჯიში შეუმჩნევლად გადაიქცა სპორტის „ჩვეულებრივ“ სახეობად, რომელიც გონებით უფრო უყვართ, ვიდრე გულით. ეზულოდ კი ჯერ არაფერი გაკეთებულა.

იქნებ ვაიდეალებთ ჩვენი ტანვარჯიშის წარსულს, იქნებ ზედმეტი სიმკაცრით ვაფასებთ მის დღევანდელ მდგომარეობას? სრულიადაც არა. ამაში დაგვეთანხმება ტანვარჯიშის ნებისმიერი მოყვარული. მივმართოთ ფაქტებს.

ამ რამდენიმე თვის წინ ტანმოვარჯიშეთა ერთ შეჯიბრებას (თუ კი ამას შეჯიბრება შეიძლება ვუწოდოთ) დავესწარი. განზრახული მქონდა წერილი დამეწერა ასპარეზობის შესახებ. ეს იყო მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა. ამ ტურნირს საუკეთესონი უნდა შეერჩია საკავშირო სპარტაკიადისთვის. მართალი გითხრათ, ასპარეზობის შემდეგ ვფიქრობდი, იქნებ სჯობდა ეს შეჯიბრება საერთოდ არ გამართულიყო-მეთქი: იმდენად უღიმღამოდ და უინტერესოდ ჩატარდა. შეჯიბრების ორგანიზაციული მხარე ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. მოზარდი ტანმოვარჯიშეებიც უხალისოდ გამოდიოდნენ, თითქოს რაღაც მძიმე მოვალეობას იხდიდნენ. შეჯიბრების დროს არ ცხადდებოდა სპორტსმენთა გვარები, მაყურებელმა (მათი რიცხვი ძალიან მცირე იყო) არაფერი იცოდა შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ: უყურებდნენ უცნობ სპორტსმენებს, რომლებიც მათთვის ტურნირის შემდეგაც უცნობნი დარჩნენ. ვერავინ გაიგო, ვინ ლიდერობდა, ვინ რამდენი ქულა დააგროვა და ა. შ.

მაშინ წერილში ეს ამბავი არ გვითქვამს. ვფიქრობდი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა კარზეა მომდგარი, ალბათ ტანვარჯიშის მესვეურებს არ ეყოთ შეჯიბრების ორგანიზაციისთვის დრო და სიჩქარეში ბევრი რამ გამორჩათ-მეთქი. ახლა კი ვფიქრობ, რომ დიდი შეცდომა მოგვივიდა, ვინაიდან, სამწუხაროდ, ის ამბავი კერძო შემთხვევა კი არ ყოფილა, არამედ ტიპური (რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ამ ბოლო წლების ასპარეზობებს)!

ფაქტი გნებავთ? ინებეთ. 20 ოქტომბერს თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშულ დარბაზში დაიწყო საქართველო — უნგრეთის ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური სამატჩო შეხვედრა. დამეთანხმებით, ჩვენ მაინცდამაინც განებივრებული როდი ვართ ასეთი მასშტაბის შეჯიბრებებით. უნგრეთის გუნდი (ეს განსაკუთრებით ითქმის ქალებზე) ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. შეჯიბრება მათი მონაწილეობით ყველგან დიდ ინტერესს იწვევს. ბუნებრივია, ტანვარჯიშის ყველა მოყვარული შეჯიბრებაზე გაემართა თავისებური სპორტული დღესასწაულის მოლოდინით. სამწუხაროდ, მათ იმედი გაუცრუვდათ: რის დღესასწაული, რა დღესასწაული! მაყურებლებს დახვდათ სანახევროდ ჩაბნელებული დარბაზი, რომელიც რიგიანად შეჯიბრების ბოლომდე არც განათებულა. ფოტორეპორტიორებმა საგანგებოდ მოტანილი აპარატურის გარეშე ერთი კადრის გადაღებაც ვერ მოახერხეს. მასპინძელ ტანმოვარჯიშეებს ცუდად მორგებული, ულაზათო სპორტული კოსტიუმები ეცვათ. დარბაზის შუაგულში, ზედ სპორტულ სარბიელზე შეჯიბრების დროს ბავშვები გარბი-გამორბოდნენ და ფეხებში ებლანდებოდნენ მონაწილეებს. ერთი სიტყვით, შეჯიბრების ატმოსფერო უფრო ვარჯიშს ჰგავდა, ვიდრე საერთაშორისო ასპარეზობას. არა, მართლაც უხეირო მასპინძლობა გაუწიეს მიუნხენის ოლიმპიადის მონაწილეებსა და პრიზიორებს ნ. ჟუჟას, მ. კელემენს, კ. მედვეცკის, აგრეთვე, ნ. დრონოვას, რ. სიხარულიძეს და პ. შამუგიას.

საკითხავია, შეიძლება თუ არა საერთაშორისო მატჩების ასე უხეიროდ ჩატარება? მოაქვს მას სარგებლობა ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვის? ეცემა თუ არა ტანვარჯიშის რეპუტაცია ამ სახეობის მოყვარულთა თვალში? იქნებ ზოგიერთისთვის ასეთი მკაცრი ტონი უსიამოვნო იყოს, მაგრამ სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ, თუკი ჩვენთვის ძვირფასია ქართული ტანვარჯიში, ოდესღაც ჩვენი სპორტის მშვენება და სიამაყე.

ახლა თავად ტურნირის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრება, როგორც უკვე მოგახსენეთ, უხეიროდ იყო მოწყობილი, წმინდა სპორტული თვალსაზრისით მან საინტერესოდ ჩაიარა. ეს ინტერესი იმანაც გააძლიერა, რომ სარბიელზე გამოდიოდა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ხუთი უნგრელი ტანმოვარჯიშე, ხოლო საქართველოს ნაკრებს ამშვენებდნენ ნ. დრონოვა და რ. სიხარულიძე.

როგორც ხედავთ, უნგრელებს ჩვენზე მეტი ტიტულიანი სპორტსმენი ჰყავდათ. მაგრამ საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა შეძლეს მრისხანე მეტოქის დამარცხება და გაიმარჯვეს როგორც გუნდურ, ისე პირად ტურნირში. ვაჟთა შორის აბსოლუტური გამარჯვებულია პ. შამუგია, ხოლო ქალებში — რ. სიხარულიძე.

ძალიან საინტერესო გამოდგა შეჯიბრება ცალკეულ იარაღებზე. ვაჟებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უნგრელმა ზ. მადიარმა. მისი ვარჯიში ტაიჭზე ურთულესი კომბინაციებითა და შესრულების დახვეწილი მანერით გამოირჩეოდა.

რა დასამალია, რომ ამ ასპარეზობაზე მაყურებელთა უმრავლესობა ნ. დრონოვას საყურებლად მოვიდა. როცა ინფორმატორი დრონოვას გვარს აცხადებდა, დამსწრენი მას ჯერ ტაშით ხვდებოდნენ, შემდეგ კი დარბაზში სამარისებური სიჩუმე დაისადგურებდა. მართლაც, დრონოვამ ყველა მოხიბლა თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისას. მისი არტისტულობა, პლასტიკა და გემოვნებით შერჩეული ილეთები მომაჯადოებელი იყო. და მაინც, დრონოვამ მთელი თავისი ძალა და შესაძლებლობა ვერ გამოავლინა, ვინაიდან ავადმყოფობის გამო კარგა ხანია სარბიელზე არ გამოსულა.

ა. გოგელია.

• • •

### პრიზიორთა ტექნიკური შედეგები

**ქალები. აბსოლუტური პირველობა.** რ. სიხარულიძე (საქართველო) — 37,9 ქულა, 2. კ. მედვეცკი (უნგრეთი) — 37,7, 3. ნ. დრონოვა (საქართველო) — 37,35. **ცალკეული იარაღები. ხტომა.** 1. დრონოვა — 19,2, 2. მ. კელემენი (უნგრეთი) — 18,8, 3. მ. მონიავა (საქართველო) — 18,7; **თავისუფალი ვარჯიში.** 1. სიხარულიძე — 19,45, 2. დრონოვა — 19,4, 3. ქ. გოგიჩაიშვილი (საქართველო) — 19,25; **ძელი.** 1. მედვეცკი — 19,8, 2. გოგიჩაიშვილი — 19,05, 3. დრონოვა — 18,95; **ორძელი.** 1. მედვეცკი — 19,15, 2. სიხარულიძე — 18,95, 3. გოგიჩაიშვილი — 18,75.

**ვაჟები. აბსოლუტური პირველობა.** 1. პ. შამუგია (საქართველო) — 55,8 ქულა, 2. ზ. მადიარი (უნგრეთი) — 55,55, 3. ნ. გარდავა (საქართველო) — 54,6. **ცალკეული იარაღები. ხტომა.** 1. შამუგია — 18,75, 2. ი. ბარნევი (უნგრეთი) — 18,35, 3. ბ. პოლსტერი (უნგრეთი) — 18,25; **ღერძი.** 1. მადიარი — 18,75, 2. შამუგია — 18,6, 3. ი. კიში — 18,6; **რგოლები.** 1. შამუგია — 19,3, 2. გარდავა — 18,4, 3. მ. კვინიკაძე — 18,2; **ორძელი.** 1. მადიარი—18,45, 2. ე. თარგამაძე — 18,2, 3. შამუგია — 17,95; **ტაიჭი.** 1. მადიარი —19,4, 2. გარდავა — 18,5, 3. ბარნევი — 18,4; **თავისუფალი ვარჯიში.** 1. მადიარი — 18,45, 2. შამუგია — 18,4, 3. კვინიკაძე — 18,05.

**გუნდური ჩათვლა.** ქალები. 1. საქართველო — 185,75 ქულა, 2. უნგრეთი — 183,75. ვაჟები. 1. საქართველო — 273,25, 2. უნგრეთი — 270,7.

**საერთო გუნდური.** 1. საქართველო — 459,00 ქულა, 2. უნგრეთი — 454,45.

• • •



სურათზე: რ. სიხარულიძე ძელზე ხტომის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესარჩევი მატჩები

ბერნი, 22 ოქტომბერი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ევროპული II შესარჩევი ჯგუფის წევრები — შვეიცარიისა და იტალიის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ახლა ამ ჯგუფში წინ არიან იტალიის ფეხბურთელები, რომლებსაც 3 ქულა აქვთ 4 შესაძლებლიდან.

ლუქსემბურგი, 22 ოქტომბერი. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (II ჯგუფი) ლუქსემბურგის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს თურქეთის ნაკრები.

## [illegible]-72

● ლონდონი, 22 ოქტომბერი. აქ დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის, ლონდონის „პოლიტექნიკის", სპორტკლუბ „დუისბურგისა" (გფრ) და ბუქარესტის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ. საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს: დაამარცხეს „პოლიტექნიკი" (4:1) და „დუისბურგი" (10:3), რუმინელებთან შეხვედრა კი ფრედ (5:5) დაამთავრეს. ამრიგად, მოსკოველთა გუნდი და ბუქარესტის „დინამო" ნახევარფინალში გავიდნენ. შეჯიბრების ამ ეტაპის მონაწილეთა წილისყრა რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართება ათენში.

● კისლოვოდსკი, 22 ოქტომბერი. აქ სტარტი აიღო გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილმა VIII საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა, რომელშიც 7 ქვეყნის 16 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი თამაშობს. I ტურში შტეინმა მოუგო გურგენიძეს, ნეჟმეტდინოვმა (სამივე — სსრ კავშირი) — იაკობსონს (დანია). ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: გულერი — ხოლმოვი, ანიკაევი — სუეტინი, ცეშკოვსკი — ზილბერშტეინი (ყველა — სსრ კავშირი), კოზმა (ჩეხოსლოვაკია) — უნციკერი (გფრ), ლანგევეგი (ჰოლანდია) — ჰენინგსი (გდრ). პოლუგაევსკის (სსრ კავშირი) ზედმეტი პაიკი აქვს ბარცაისთან (უნგრეთი) გადადებულ პარტიაში.

● ორენბურგი, 22 ოქტომბერი. რუსულ შაშში 32-ე საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა ნახევარ გზაზე მეტი განვლეს. 11 ტურის შემდეგ ლიდერობს ქვეყნის ექს-ჩემპიონი ა. პლაკხინი (მინსკი) — 7,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიტველი ა. პაუკშტისი. 6,5-6,5 ქულა აქვთ ლენინგრადელებს ი. კუსტარიოვს, ვ. პეტროვს, ორენბურგელ ვ. მილოვიდოვსა და მოსკოველ ი. კირილოვს. საკავშირო სპორტკომიტეტმა მილოვიდოვს ქვეყნის ჩემპიონ ვ. ლიტვინოვიჩის მაგიერ დართო ტურნირში მონაწილეობის უფლება (ლიტვინოვიჩმა შეჯიბრებაზე ბოლო მომენტში თქვა უარი) და, უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი დიდოსტატებსა და გამოცდილ ოსტატებს არ უდებს ტოლს. წლევანდელი ჩემპიონატი პირველად ტარდება ახალი, ექსპერიმენტული სისტემით — შემცირებული საკონტროლო დროით: ყოველ ტურში მონაწილენი ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს — თეთრებითა და შავებით. სპეციალისტებს მოსწონთ ეს ახალი სისტემა და მას პროგრესულად მიიჩნევენ. მათი აზრით, ახალი რეგლამენტი შეჯიბრების შედეგიანობას გაზრდის.

● მოსკოვი, 22 ოქტომბერი. ინგლისისა და შვეციის ბადმინტონისტებთან აქ გამართულ ამხანაგურ მატჩებში (20-22 ოქტომბერი) ყველაზე დიდ წარმატებას დნეპროპეტროვსკელმა გ. ვავილოვმა მიაღწია: დაამარცხა ინგლისელი რ. სტივენსი (15:10, 15:12) და შვედი გ. პერნეკლო (15:10, 15:10). სსრ კავშირის უძლიერეს ბადმინტონისტთა გუნდმა ფრედ (4:4) დაამთავრა შეხვედრა შვედებთან და ანგარიშით 1:7 წააგო ინგლისელებთან (მატჩების ფორმულა — ერთეულთა და წყვილთა ოთხ-ოთხი შეხვედრა). რსფსრ-ს პირველ და ახალგაზრდულ გუნდებს სტუმრებმა აშკარად აჯობეს. ამ საინტერესო შეჯიბრების ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და შვეციის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ინგლისელებმა. სადესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მწვრთნელმა ო. მარკოვმა განაცხადა: „ასეთი მაღალი კლასის ბადმინტონისტები საბჭოთა ქვეყანაში პირველად ვნახეთ: ინგლისისა და შვეციის წარმომადგენლები მსოფლიო ბადმინტონის ლიდერთა ჯგუფში შედიან. ამ უმაღლეს დონეზე გაცნობამ საბჭოთა სპორტსმენებს დიდი სარგებლობა მოუტანა. მართალია, მასპინძლები სტუმრებს ოსტატობაში ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ ეს ხომ ძალთა შემოწმება იყო, რომელმაც გვიჩვენა, რომ ჩვენში ეს ახალგაზრდა სახეობა სწორი გზით ვითარდება".

## [illegible]-72

### იუგოსლავიური შთაბეჭდილებები

# ვ. ერთად პირველად მოეწყო

— ჯერ კიდევ 1966 წელს ჰავანაში ვაჟთა XVII ოლიმპიადის პარალელურად ქალთა III ოლიმპიადა უნდა გამართულიყო, მაგრამ ამერიკელებმა არ ისურვეს, რომ ამ საუცხოო ტრადიციის თაოსანი რევოლუციური კუბა ყოფილიყო. ახლა ეს იუგოსლაველებმა შეძლეს, — მითხრა ნონა გაფრინდაშვილმა, როცა სასტუმრო „პანორამაში" ვაჟთა და ქალთა ოლიმპიადების ერთად მოწყობის თაობაზე ვსაუბრობდით.

— ამიერიდან როგორ იქნება?

— ფიდე-ში ქალთა კომისიის პრეზიდენტი მილუნკა ლაზარევიჩი იბრძვის, რომ 1974 წელს საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაციამ ჩვენი ოლიმპიადის გამართვაც დაივალოს.

— როგორ მიდის მოლაპარაკება?

— მილუნკა ამბობს, საფრანგეთის დელეგატი უარზეა, მაგრამ უნდა მოვტეხოთ, — იღიმება ნონა. — იქნებ დაიყოლიოს.

მართლაც სკოპლეს ოლიმპიადა ქალების მონაწილეობამ ძალიან დაამშვენა. პირველი დარბაზი, სადაც ვაჟთა ოლიმპიადის 16 ფინალისტი იბრძოდა, მუდამ სავსე იყო მაყურებლებით. მეორეში, რომელშიც „სანუგეშო" ტურნირები (ესე იგი, მომდევნო ადგილებისთვის ბრძოლა) მიმდინარეობდა, იმდენივე ჭომაგი იყრიდა თავს, რამდენიც მესამე დარბაზში, სადაც ქალთა ოლიმპიადა ტარდებოდა. იუგოსლავიის გუნდი ფინალში რომ გასულიყო, მაყურებელი ალბათ მეტი იქნებოდა, მაგრამ იუგოსლაველები (მ. ლაზარევიჩი, კ. იოვანოვიჩი, სათადარიგო ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა) უფერულად თამაშობდნენ.

ნონას პარტიებს ყურადღებით ადევნებდი თვალს. მის მაგიდასთან ყველაზე მეტი მაყურებელი იყრიდა თავს. ზოგს პარტია აინტერესებდა, ზოგს, უბრალოდ, მსოფლიო ჩემპიონის ნახვა. ნონას მართლაც დედოფალივით ეჭირა თავი — დინჯად, დარბაისლურად. მსოფლიო ჩემპიონი წარმატებით თამაშობდა, თუმცა უძლიერესი მეტოქეები ჰყავდა. მან პირველ დაფაზე ფინალის 8 შეხვედრაში 6,5 ქულა დააგროვა. რა თქმა უნდა, I ადგილი დაიკავა, პარტია არ წაუგია, მხოლოდ სამი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით. ამ თვალსაჩინო წარმატებისთვის ოქროს საათი მიიღო ჯილდოდ.

აქვე უნდა ითქვას, რომ საუცხოოდ თამაშობდნენ სსრ კავშირის გუნდის სხვა წევრებიც ა. კუშნირი და სათადარიგო ი. ლევიტინა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კუშნირმა. მან აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს (7 ქულა 8-დან) მიაღწია. ცხადია, მეორე დაფაზე ალა პირველი იყო.

სკოპლეში ახლოს გავიცანი სსრ კავშირის ჩემპიონი, 18 წლის ირინა ლევიტინა.

— თუ ვინმეს რაიმე ამბავი გაინტერესებთ, ირინას ჰკითხეთ, ყველაფერი იცის, — მირჩევდა ნონა.

მართლაც ლევიტინამ გაიცნო ოლიმპიადის თითქმის ყველა მონაწილე, ვინც სასტუმრო „პანორამაში" ცხოვრობდა. მუდამ მათ შორის ტრიალებდა, მათს საჭადრაკო ბატალიებს ესწრებოდა. თავისუფალი რომ იყო, დარბაზებში დადიოდა, რომ დაილოდებოდა ტელევიზორებისთვის შემაღლებულ ადგილზე აძვრებოდა და იქ მოკალათდებოდა.

— იცით რატომ ვეცნობი ყველას? ხან გერმანულად ველაპარაკები ნათ, ხან ინგლისურად და ასე ენებში ვვარჯიშობ, — მითხრა ირინამ.

საბჭოთა ქალთა გუნდის თამაშს ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მისი კაპიტანი, რიგელი დიდოსტატი ა. გიპსლისი განიცდიდა. თვალს არ აშორებდა პარტიებს. გუნდის მომზადებაში გიპსლისს გამოჩენილი თეორეტიკოსი, მინსკელი დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი ეხმარებოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ გუნდი თავს არ შეირცხვენდა.

— ნონა ძლიერ მოჭადრაკე ვაჟებს უგებს. მისთვის ქალებთან თამაში პრობლემა არ არის. იმის გამო, რომ გუნდში მხოლოდ ორი წევრია, მოგებაზეა საჭირო თამაში, მაგრამ ყველასთან მოგება ძნელია: ზოგჯერ პოზიცია არ გაძლევს ამის უფლებას. და მაინც ნონა ბოლომდე არ არის თანახმა ყაიმისა. ალა და ირინაც ასე იქცევიან და ამიტომ ლიდერობენ კიდეც, — თქვა ბოლესლავსკიმ.

დამაინტერესა იუგოსლავიის ძლიერი გუნდის წარუმატებლობის მიზეზმა.

— მილუნკამ გადამწყვეტი პარტია წააგო და ფინალში ვეღარ მოვხვდით, — თქვა კონარკოვსკა-სოკოლოვამ. მერე სიცილით დაუმატა: — მან კი ეს მარცხი კატია იოვანოვიჩს... გადააბრალა: ერთი ზედმეტი ყაიმი რომ არ გაეკეთებინა, ფინალში ვიქნებოდითო. ჩემზე არაფერი თქვა, რაკი ყველა შეხვედრა მოვიგე.

საბოლოოდ იუგოსლავიის გუნდი X ადგილზე გავიდა. ოლიმპიადის მეორე ნახევარში ლაზარევიჩს თითქმის არ უთამაშია: ფიდე-ს კონგრესის მუშაობით იყო დაკავებული.

სასტუმრო „პანორამასთან" ლაზარევიჩს შევხვდი.

— უკვე ვესაუბრე თბილისის საჭადრაკო კლუბის დირექტორს ლილი წეროძეს, რომ გაისად სერბიისა და საქართველოს მოჭადრაკე ქალთა გუნდების მეგობრული შეხვედრა მოვაწყოთ. ჯერ თქვენები გვეწვევიან. ვფიქრობ, კარგი წინადადებაა, — მითხრა მილუნკამ.

— ძლიერი გუნდი გყავთ?

— საკმაოდ. თითოეულ გუნდში ოთხ-ოთხი მოთამაშე რომ იყოს, მიმზიდველი მატჩ-ტურნირი გამოგვივა.

ამ მატჩის საკითხს ალბათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია განიხილავს.

ქალთა ოლიმპიადის ერთ-ერთი მსაჯი გახლდათ მოსკოველი საერთაშორისო არბიტრი ვ. ტიხომიროვა. მან მიამბო:

— ოლიმპიადის დაწყებისას პრეზიდენტმა ეივემ გვითხრა, საასპარეზოდ ოცდამეთხე გუნდიც ჩამოვიდათ. კანადელები არიან, თავად ვნახეთ. მერე გამოირკვა, რომ მართლაც კანადელი ქალები ყოფილან, ოღონდ კანადის ვაჟთა გუნდის წევრების... მეუღლეები.

იუგოსლაველების მაგიერ ინგლისელები რომ მოხვდნენ ფინალში, ეს ელექტროგამომთვლელი მანქანის ბრალია. თავიდან შესარჩევ ჯგუფებში მანქანამ გუნდები სიძლიერის მიხედვით გაანაწილა. მანქანას ინგლისელი ქარსტონის გვარი არაფერს უმბნებოდა. მან ინგლისი შედარებით სუსტ შესარჩევ ჯგუფში შეიყვანა. მაგრამ ქარსტონის მაგიერ უძლიერესი ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი მალიპეტროვა რომ „დაეპროგრამებინათ", მაშინ ინგლისს გაუჭირდებოდა ფინალში გასვლა. მანქანამ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ჩეხოსლოვაკიის ყოფილი ჩემპიონი ინგლისელ მოჭადრაკე ქარსტონს მასთხოვდა.

ხშირად ვხვდებოდი ცნობილ მოჭადრაკეებს ა. ნიკოლაუს, ე. პოლიქრონიადეს (ორივე — რუმინეთი), ვ. ასენოვას (ბულგარეთი), ჟ. ვერეცის (უნგრეთი) და ბევრ სხვას, ვისაც საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირებში უთამაშია. მუდამ კმაყოფილებით იხსენებდნენ თბილისელების, ბათუმელების, სოხუმელების, გორელების მასპინძლობას.

— აქ თქვეს, რომ თბილისში „ჭადრაკის სასახლე" იხსნება. აუცილებლად გვეწვიეთ სათამაშოდ, თუ დაგვპატიჟებთ, — მითხრა პოლიქრონიადემ.

სკოპლეში ქალები ხშირად ესწრებოდნენ ქალთა ოლიმპიადას. ერთხელ საგანგებო შეხვედრაც მოუწყვეს მოჭადრაკეებს.

— კონგრესზე საგანგებოდ განვიხილეთ ქალთა შორის ჭადრაკის შემდგომი განვითარების საკითხი. ორი ოლიმპიადის ერთდროულად გამართვა სასარგებლო გამოდგა. საჭიროა შემდგომში ეს ტრადიციად ვაქციოთ, — თქვა ფიდე-ს პრეზიდენტმა მ. ეივემ ჟურნალისტებთან საუბარში.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სკოპლე — თბილისი.

# კიდევ ორი ტური

თბილისის ოფიცერთა სახლქო სახლში გათამაშდა სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატის კიდევ ორი ტური. VII ტურში კარგად ითამაშეს თბილისელმა ოსტატებმა ე. უბილავამ და ა. იზვოზჩიკოვმა. უბილავა შავებით სხივთათოდ დაემუქრა ე. ნოვაკის (ჩეხოსლოვაკია) მეფეს, ხოლო დასასრულს ხაფანგში გაება მისი ლაზიერი და გაიმარჯვა. იზვოზჩიკოვმა საკმაოდ გაბედულად გაითამაშა დებიუტი რ. პოსტლერთან (გდრ) შეხვედრაში, შემდეგ კი მისი ძლიერი იერიში მეტოქემ ვერ მოიგერია.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონმა ვ. ქურაველიოვმა ა. ლოკასტოსთან (პოლონეთი) თავიდან პაიკი მოიგო, შემდეგ კი ფიგურა, რითაც ცხრილში მელა ჩაიწერა.

ი. კლოვანისა (რიგა) და მ. პოდგაეცის (ოდესა) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. პირველი გამარჯვება უნდა მოიპოვოს მოსკოველმა დიდოსტატმა ვ. ლიბერზონმა, რომელსაც დიდი მატერიალური უპირატესობა აქვს ა. ოჟვატის (უნგრეთი) წინააღმდეგ. ლ. ცინს (გდრ) ზედმეტი პაიკი აქვს ენდშპილში ი. ადამსკისთან (პოლონეთი), ხოლო ე. პრანდშტეტერს — პოზიციური უპირატესობა ლ. ვადასთან (უნგრეთი) ეტლების დაბოლოებაში.

კვირას მოეწყო VIII ტური. აქ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ქურაველიოვმა, რომელიც ბოლო ტურებში ენერგიულად თამაშობს. მან მოუგო ოჟვატს. უბილავამ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია პრანდშტეტერთან და მერე დიდი მონდომებით თამაშობდა გამარჯვებისთვის. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკე კარგად იცავდა თავს და ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა ადამსკისა და კლოვანის შეხვედრაც.

ოთხი პარტია გადაიდო. ბედი არ სწყალობდა იზვოზჩიკოვს. მან ლოკასტოსთან პარტიაში ორი პაიკი მოიგო, მაგრამ მერე ძლიერ ცაიტნოტში კუ წააგო და ახლა ყაიმისთვის უნდა იბრძოლოს.

8 ტურის შემდეგ ლიდერობს ქურაველიოვი — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია. პოდგაეცს 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, უბილავას — 4,5 ქულა, ვადასს — 4 ქულა და 3 გადადებული პარტია. ლიდერთა მდგომარეობაში სიცხადე გადადებული პარტიების დამთავრებამ უნდა შეიტანოს.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

## [illegible] ფეხბურთის ამბები

# პირველი ადგილი — მ. ბასბის

ინგლისურმა ჟურნალმა „გოლმა" თავისებური კონკურსი მოაწყო ინგლისის № 1 მწვრთნელის გამოსავლენად. ჩათვლაში შედიოდა შედეგები, რომლებსაც მწვრთნელებმა მიაღწიეს 1947 წლის შემდეგ, ამასთან, მათ 10 ქულა ეწერებოდათ ჩემპიონის წოდების მოპოვებისთვის, 8 ქულა — ინგლისის თასის, 7 ქულა — ლიგის თასის მოპოვების ან II ლიგაში გამარჯვებისთვის და ა. შ. 9 ქულით აღინიშნებოდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოგება, 8 ქულით — თასების მფლობელთა თასის ან უეფა-ს (უწინდელი ბაზრობათა) თასის მოგება.

ყველას ბევრად გაუსწრო მ. ბასბიმ, რომელიც ხანგრძლივი დროით ედგა სათავეში „მანჩესტერ იუნაიტედს". ამ გამოჩენილმა სპეციალისტმა 75 ქულით I ადგილი დაიკავა, თანაც, 50 ქულა ინგლისის პირველობებში მოპოვებული წარმატებებისთვის მოიპოვა.

57 ქულით II ადგილზეა ბ. ნიკოლსონი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), III — ჯ. მერსერი („მანჩესტერ-სიტი"), რომელმაც 54 ქულა მოაგროვა.

მომდევნო ადგილებზე არიან დ. რევი („ლიდს იუნაიტედი", 48 ქულა), ს. კულისი („ვულვერჰემპტონ უონდერერსი", 46 ქულა), ბ. შენკლი და ჰ. კატერიკი (ორივე — „ლივერპული", 35 ქულა თითოეული).

ყველა ზემოჩამოთვლილი სპეციალისტი ისევ განაგრძობს პრაქტიკულ მუშაობას, გარდა ბასბისა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ხანდაზმულობის გამო გამოეთხოვა „მანჩესტერ იუნაიტედს" და ახლა ამ კლუბის დირექტორატის აპარატში მუშაობს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ახლა ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია.

# ჯ. ჩარლტონის მეოცე სეზონი

ბევრმა მკითხველმა იცის, რომ სახელოვანმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ბ. ჩარლტონმა დაასრულა თავისი სპორტული კარიერა. მისი უფროსი ძმა ჯეკი, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობს თამაშს, ბობის მსგავსი მიღწევებით ვერ დაიტრაბახებს, თუმცა კარგა ხანია დგას პირველხარისხოვან ინგლისელ ოსტატთა რიგებში. მარტო ის რად ღირს, რომ ჯ. ჩარლტონმა ამას წინათ დაიწყო თავისი მეოცე პროფესიული სეზონი. საყურადღებოა, რომ ამ დიდი დროის განმავლობაში ჯეკი თამაშობს მხოლოდ ერთ კლუბში — „ლიდს იუნაიტედში", რომლის შემადგენლობაშიც 600 კალენდარული მატჩი ჩაატარა ინგლისის ჩემპიონატებში.

„ლიდს იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საგანგებო მატჩით აღნიშნოს ჯ. ჩარლტონის ესოდენ ხანგრძლივი კარიერა.

# კარგი პრეზიდენტი იქნებოდა...

ბრაზილიურ გაზეთ „ო გლობოს" მიაჩნია, რომ ამ ქვეყნის სპორტის კონფედერაციის ხელმძღვანელი ჟ. ავილანჟი ფიფა-ს საუკეთესო პრეზიდენტი იქნებოდა, ამიტომ ფრიად დიპლომატიური ტონით მოუწოდებს მელეს გამოიყენოს მთელი თავისი ავტორიტეტი ფეხბურთის სამყაროში, რათა ხელი შეუწყოს ავილანჟის არჩევას მისთვის ამ ერთობ შესაფერის თანამდებობაზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04682